საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიასამიძე ვახუშტი

დიასამიძე ვახუშტი XVI ს. შუა წლების სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე. მხარს უჭერდა ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის პოლიტიკას. დ-მ თავის ძმასთან, შ. დიასამიძესთან ერთად XVI ს. 30–40-იან წლებში ჯავახეთისა და სამცხის მნიშვნელოვანი პროვინციები ლუარსაბ I-ს დაუმორჩილა, ლუარსაბმა კი იგი ლორის ბატონად დანიშნა. ათაბაგ ქაიხოსრო II-ის წაქეზებით ირან. შაჰმა თამაზ I-მა 1553 მესხეთისა და სამცხე-საათაბაგოს სოფლები და ქალაქები დაარბია, სხვა დიდებულებთან ერთად დ-ც დაატყვევა და სიკვდილით დასაჯა.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., საქართველოს ისტორია, ს. კაკაბაძის *გამოც.*, «საისტორიო მოამბე», 1925, [ტ.] 2; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

შ. ლომსაძე